<u>სამეცნიერო კონფერენცია</u>

მე-2 ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია გენდერის კვლევაში

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი იწვევს მეცნიერებს, დამოუკიდებელ მკვლევარებს, სტუდენტებს, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტებს, ქალთა და გენდერის საკითხებზე მომუშავე ხელისუფლების წარმომადგენლებს მონაწილეობის მისაღებად მე-2 ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაში:

ძალადობის აჩრდილი:

როგორ უმკლავდებიან ქალები წინააღმდეგობებს

კონფერენცია ტარდება გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი საერთაშორისო კამპანიის ფარგლებში. კონფერენციის ძირითადი თემა იქნება გენდერული ნიშნით ძალადობის კულტურული, ეთნიკური, კლასობრივი და სოციალური მახასიათებლების სხვადასხვა კონტექსტუალური ასპექტები.

კონფერენციის ჩატარების თარიღი: 8-9 დეკემბერი, 2010 წ.

კონფერენციის ჩატარების ადგილი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თსუ-ს II კორპუსი, თბილისი

კონფერენციის სამუშაო ენა: ინგლისური და ქართული

მონაწილეობის მსურველებმა ნაშრომის მოკლე მიმოხილვა (მაქსიმუმ 150 სიტყვა)უნდა წარმოადგინონ 10 ნოემბრამდე. წარმოდგენილ ნაშრომებს განიხილავს კონფერენციის კომისია. საბოლოო მონაწილეებს დავუკავშირდებით 2010 წლის 15 ნოემბრამდე. მონაწილეებს მოეთხოვებათ პრეზენტაციის ვრცელი რეზუმეს (მაქსიმუმ 2000 სიტყვა) წარმოდგენა 1

დეკემბრამდე. ვრცელი რეზუმეს არ წარმოდგენის შემთხვევაში წინასწარ წარდგენილი მოკლე მიმოხილვა არ შევა კონფერენციის პროგრამაში.

მოკლე მიმოხილვის წარდგენის ბოლო ვადა : 10 ნოემბერი, 2010 წ.

მოთხოვნები მოკლე მიმოხილვისთვის:

სათაური: ნაშრომის

ავტორი: სახელი, გვარი; ინსტიტუტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მიმოხილვის სიგრძე: 150 სიტყვა

ფონტი: Times New Roman ან AcadNusx

დაშორება სტრიქონებს შორის: 1.5

ენა: ინგლისური ან ქართული

ვრცელი რეზუმეს წარდგენის ბოლო ვადა : 1 დეკემბერი, 2010 წ.

მოთხოვნები ვრცელი რეზუმესთვის:

სათაური: ნაშრომის

ავტორი: სახელი, გვარი; ინსტიტუტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მიმოხილვის სიგრძე: 2000 სიტყვა

ფონტი: Times New Roman ან AcadNusx

დაშორება სტრიქონებს შორის: 1.5

ენა: ინგლისური ან ქართული

პრეზენტაციის ხანგრძლივობა: 20 წუთი

ინფორმაცია ნაშრომის ჩაბარების შესახებ

საკონფერენციო ნაშრომი უნდა გაიგზავნოს ელ-ფოსტის შემდეგ მისამართზე: dlezhava@ucss.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ კონფერენციის მდივანს, დიანა ლეჟავას: dlezhava@ucss.ge